ხელშეკრულება № 58

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 2019 წლის 12 დეკემბერი

ერთი მხრივ, შპს სავაჭრო ცენტრი 2009 (მისამართი: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. 21) წარმოდგენილი დირექტორის ზვიად მელიქაძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ შპს „კანცელარიის სახლი" ს/კ 445522756 (მისამართი: ქ. ბათუმი, აღმაშენებელის ქ. N 21) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ნაგერვაძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 14 ივნისის N 12 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-2 მუხლის „ა" პუნქტით შპს სავაჭრო ცენტრი 2009-ის საჭიროებისათვის საკანცელარიო ჟურნალების, ფორმებისა და სხვა მარაგების შესყიდვის მიზნით (CPV 22800000), მონეტარული ზღვრის დაცვით გამარტივებული შესყიდვის ფორმით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7 „ფასების ცხრილი" - შესასყიდი საქონლის ღირებულებები, რომელიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკანცელარიო ჟურნალების, ფორმებისა და სხვა მარაგების შესყიდვა ფასების ცხრილის შესაბამისად;

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები
3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან ანუ 2019 წლის 12 დეკემბრიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მოწოდების ვადაა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება
4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2907.90 (ორიათასცხრაასშვიდი და 90) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. საქონლის მოწოდებისადგილი და წესი
5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ადგილი მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. 21 შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ადმინისტრაცია;
5.2. საქონლის მოწოდება ხდება ერთჯერადად ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით;

6. მხარეთა ვალდებულებები:
6.1.მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული უნაკლო საქონელი;
6.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონელი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი;
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომწოდებლის მხრიდან საქონლის მოწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი
7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგნაირად: უნაღდო ანგარიშსწორებით, მომწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
7.3 შესყიდვისას წინასწარი (ავანსი) ფორმის ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

8. ხელშეკრულების ინსპექტირება
8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების მიზნით „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს:
_ ედვარდ ბალაძე _ საზოგადოების შესყიდვების მენეჯერი;

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი
9.1 საქონელი ჩაითვლება მოწოდებულად მხარეების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ;
9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება ჩაითვლება მიღებულად, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია და შემსყიდველის მხრიდან არ არის გამოვლენილი ხარვეზი.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა
11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი
12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, სამარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი
13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებ-ლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
13.5. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავების გადაჭრის წესი
ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები
ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. 21 საიდ. კოდი 245 626 835 ს.ს ტერა ბანკი საბანკო კოდი TEBAGE 22 ა/ა GE19 KS 00 0000 03 45 2000 01 დირექტორი ზვიად მელიქაძე	შპს კანცელარიის სახლი ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N 21 საიდ. კოდი 445522756 ს.ს „პროკრედიტბანკი“ საბანკო კოდი MIBGGE22 ა/ა GE 29 PC 0033600100053595 დირექტორი ირაკლი ნაგერვაძე

Zviad Melikadze

Подписано цифровой подписью: Zviad Melikadze
Дата: 2019.12.18 14:36:41 +04'00'

ფასების ცხრილი

	დასახელება	რაოდენობა	ფასი	სრული ფასი
1	18493 - 18493 ბლოკნოტი A-5	10	10	100
2	18484 - 18484 ბლოკნოტი A-5	10	8.5	85
3	18511 - 18511 ბლოკნოტი	20	2.3	46
4	17956 - 17956 პაპკა	50	0.9	45
5	17697 - 17697 ფანქრის გული 2.00(გრიფელი)	10	0.5	5
6	20160 - 20160-17270 ფანქარი 12 ფ.	5	2.5	12.5
7	98360 - 5558360 უბრალო ფანქარი	24	1	24
8	045 - 045 რვეული 96 ფ ა-4	20	2	40
9	58207 - 58207 საქაღალდე	200	0.5	100
10	19064 - 19064 კორექტორი ლენტი	24	2.2	52.8
11	19060 - 19060 კორექტორი კალამი	24	1.2	28.8
12	17834 - 17834 კორექტორი კალამი	24	1.2	28.8
13	17836 - 17836 კორექტორი ლენტი	24	2.5	60
14	14359 - 14359 კორექტორი ლენტი	24	1.4	33.6
15	16027 - 12108 კორექტორი	24	0.8	19.2
16	18696 - 18696 პაპკა რეზინით	12	4.5	54
17	18698 - 18698 პაპკა	5	6	30
18	18540 - 18540 პაპკა დაფა ერთიანი A-4	5	3	15
19	18666 - 18666 ფაილი 100ცალიანი	5	12	60
20	18665 - 18665 ფაელი 100-ც. 7-მიკ.	5	10	50
21	18664 - 18664 ფაელი 100-ც. 6-მიკ.	5	9	45
22	18663 - 18663 ფაილი 100ცალიანი	5	7	35
23	18662 - 18662 ფაილი 100ცალიანი	5	6	30
24	18661 - 18661--17903-15351 ფაელი	5	4	20
25	18656 - 18656 პაპკა ფაელით 80-ფ. 2.5-მიკ.	5	8.5	42.5
26	16587 - 16587 პაპკა ფაელით 60-ფ.	5	3.8	19
27	13736 - 13736 სწრაფჩამკერი 20-ფაელით	5	1.5	7.5
28	13735 - 13735 სწრაფჩამკერი 10-ფაელით	5	1	5
29	11099 - 11099 ფაელი 100ც	10	4	40
30	13035 - 13035 პაპკა 30 ფაელით	10	2	20
31	16045 - 16045 ჩასანიშნი წებოვანი ფურცელი	10	4	40
32	16044 - 16044 ჩასანიშნი ფურცელი	10	3	30
33	12252 - 12252 ჩასანიშნი ფურცელი	10	4.8	48
34	1258 - 1258 ჩასანიშნი წებოვანი 76X76მმ 400ფ	10	4	40
35	10085 - 10085 საწერი კალამი	200	0.1	20
36	20173 - 20173-99305 კალამი	100	1	100
37	20188 - 20188 კალამი	20	0.5	10
38	14328 - 14328 პაპკა კნოპკით	10	3.5	35
39	17957 - 17957 პაპკა	10	1	10
40	17955 - 16583-15349 პაპკა	12	2.2	26.4
41	15350 - 15350-10280 პაპკა	50	0.4	20

42	9484 - 17902-17900-15348 ბაინდერი	100	3	300
43	19142 - 19142 კალკულიატორი KK 12-ნი.	5	6	30
44	19160 - 19160 კალკულიატორი CITIZEN 14-ნი.	5	16	80
45	19147 - 19147 კალკულიატორი GAONA 12-ნი.	5	10	50
46	19138 - 19138 კალკულიატორი CITIZEN 14-ნი.	5	25	125
47	13043 - 13043 მაგიდის კრებული	1	165	165
48	16036 - 16036 მოსანიშნი მარკერი	120	1	120
49	17693 - 17693 მექანიკური ფანქარი - 0.7მმ	120	1	120
50	17704 - 17704 მარკერი	120	1	120
51	1804 - 1804 მაგიდის კრებული	5	8	40
52	19054 - 19054 საკანც.მაგიდის კრებული	4	20	80
53	19086 - 19086 საკანცელარიო დამჭერი 51-მმ.	24	0.45	10.8
54	19094 - 19094 საკანცელარიო დამჭერი 32-მმ.	24	0.3	7.2
55	19095 - 19095 საკანცელარიო დამჭერი 25-მმ.	24	0.2	4.8
56	19096 - 19096 საკანცელარიო დამჭერი 19-მმ.	24	0.15	3.6
57	19097 - 19097 საკანცელარიო დამჭერი 15-მმ.	24	0.1	2.4
58	19102 - 19102 საკანცელარიო მაგიდის კრებული	5	16	80
59	55420 - 55420 მარკერი EU10420, DELI	24	1	24
60	17700 - პერმამენტ მარკერი(17700 წითელი)(17699 შავი)	24	0.5	12
				2907.9

სულ: 2907.90 (ორიათასცხრაასშვიდი და 90) ლარი

შპს „კანცელარიის სახლი“-ს დირექტორი ირაკლი ნაგერვაძე